

შპს ევო დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს ევო დისტრიბუშენ
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	1-3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	7
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	8-24



FINANCIAL OFFICE
ACCOUNTING & ADVISORY

A member of



Independent legal & accounting firms

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ევო დისტრიბუშენის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს ევო დისტრიბუშენის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის და კონსოლიდირებულ განმარტებით შენიშვნებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი). ჩვენს მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკურ და სხვა მოთხოვნებს. შესაბამისად, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

ჯგუფის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მიზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ზედამხედველობა გაუწიოს ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმუნებულება, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი იქნება. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ გაკეთებულ პროგნოზებსა და მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ აღმოვაჩენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის ჩამოსაყალიბებლად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკი შეცდომის შედეგად გაპარული არსებითი უზუსტობის ვერშემჩნევის რისკს აღემატება, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის

წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენს მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარდგენის პრინციპს.

სხვა საკითხთა შორის, ჩვენ ჯგუფის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს და აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ნინო სამხარაძე.

ნინო სამხარაძე (რეგ. № SARAS-A-425114)

შპს „ფინანსური ოფისის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-802337)


23 აგვისტო 2023 წ.

წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით;

- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაკეთებთ დასკვნას ხელმძღვანელობის მხრიდან აღრიცხვის უწყვეტი საწარმოს პრინციპის საფუძველზე წარმოების თაობაზე და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის გაურკვევლობა ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენს მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია, შევცვალოთ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან სტრუქტურას, შინაარსსა და წარდგენის ფორმას, მათ შორის განმარტებებს და ასევე იმას, თუ როგორ შეესაბამება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიერ შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების ასახვა ინფორმაციის ობიექტურად წარდგენის პრინციპს.

სხვა საკითხთა შორის, ჩვენ ჯგუფის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს და აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ნინო სამხარაძე.



ნინო სამხარაძე (რეგ. № SARAS-A-425114)

შპს „ფინანსური ოფისის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-802337)

23 აგვისტო 2023 წ.

შპს ევო დისტრიბუშენ
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	74,637	33,644
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(69,141)	(28,517)
საერთო მოგება		5,496	5,127
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	1,355	488
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	7	(885)	(1,120)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,931)	(1,923)
საექვო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	9,12,18	(29)	(4)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		3,006	2,568
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	10	16	36
კურსთა შორისი წმინდა მოგება (ზარალი)		1,066	376
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		4,088	2,980
მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)		-	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		4,088	2,980

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 აგვისტოს.

ლევან ტურაბელიძე
დირექტორი

სოფო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი

8-24 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ევო დისტრიბუშენ
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	74,637	33,644
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(69,141)	(28,517)
საერთო მოგება		<u>5,496</u>	<u>5,127</u>
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	1,355	488
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	7	(885)	(1,120)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,931)	(1,923)
საექვო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	9,12,18	(29)	(4)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		<u>3,006</u>	<u>2,568</u>
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	10	16	36
კურსთა შორისი წმინდა მოგება (ზარალი)		<u>1,066</u>	<u>376</u>
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		<u>4,088</u>	<u>2,980</u>
მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)		-	-
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		<u><u>4,088</u></u>	<u><u>2,980</u></u>

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 23 აგვისტოს.

ლევან ტურაბეიძე
დირექტორი



სოფო გელაშვილი
მთავარი ბუღალტერი



8-24 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ევო დისტრიბუშენ
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	185	109
არამატერიალური აქტივები		16	14
გაცემული სესხები		-	108
სულ გრძელვადიანი აქტივები		201	231
მოკლევადიანი აქტივები			
გაცემული სესხები		-	48
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	52,127	3,260
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13	9,629	2,234
ფულადი სახსრები	14	1,581	1,731
საგადასახადო აქტივი (წმინდა)	15	775	88
სულ მოკლევადიანი აქტივები		64,112	7,361
სულ აქტივები		64,313	7,592
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	16	2	1
დამატებით შეტანილი კაპიტალი	16	-	-
გაუნაწილებელი მოგება	16	6,443	3,610
სულ კაპიტალი		6,445	3,611
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	57,868	3,981
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		57,868	3,981
სულ ვალდებულებები		57,868	3,981
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		64,313	7,592

8-24 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ევო დისტრიბუშენ
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2021	1	-	782	783
წლის მოგება და მ.ს.შ. დივიდენდები			2,980 (152)	2,980 (152)
31 დეკემბერი 2021	1	-	3,610	3,611
წლის მოგება და მ.ს.შ. დივიდენდები			4,088 (1,255)	4,088 (1,255)
სხვა	1			1
31 დეკემბერი 2022	2	-	6,443	6,445

დივიდენდები მოცემულია დარიცხულის (გროსი) სახით და მოიცავს შესაბამის გადასახადებს.

დამატებითი ინფორმაცია კაპიტალის შესახებ მოცემულია 3.9 და 16 შენიშვნებში.

8-24 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ევო დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		4,088	2,980
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა	11	44	24
ამორტიზაცია		2	2
საპროცენტო შემოსავალი	10	(16)	(36)
სხვა დარიცხვები		158	-
<i>შედეგი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე</i>		<u>4,276</u>	<u>2,970</u>
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(48,867)	(861)
ცვლილებები მარაგებში		(7,395)	358
ცვლილებები საგადასახადო აქტივში		(687)	44
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		53,887	(1,013)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		<u>1,214</u>	<u>1,498</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	(120)	(19)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(5)	-
პროცენტის მიღება	10	14	14
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		<u>(111)</u>	<u>(5)</u>
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
დივიდენდების გადახდა		(1,255)	(152)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		<u>(1,255)</u>	<u>(152)</u>
ფულადი ნაკადების წმინდა ზრდა/(კლება) პერიოდში		<u>(152)</u>	<u>1,341</u>
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	14	1,731	390
ფულის წმინდა ზრდა/(კლება) პერიოდში		(152)	1,341
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი		2	-
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	14	<u>1,581</u>	<u>1,731</u>

8-24 გვერდებზე თანდართული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ევო დისტრიბუშენ

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასობით ლარში_ '000 GEL)

1. ზოგადი ინფორმაცია „ჯგუფის“ შესახებ

1.1 ზოგადი ინფორმაცია „მშობელი კომპანიის“ შესახებ

შპს ევო დისტრიბუშენ (ს/კ: 205256373) რეგისტრირებულია საქართველოში 2008 წლიდან. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი N55.

კომპანიის მფლობელები არიან: კაეტანო ჯგუფი (კვიპროსი) (70%) და ლევან ტურაბელიძე (30%).

ლოკალური კონტროლის განმახორციელებელი პირია: ლევან ტურაბელიძე.

ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სხვადასხვა აიტი პროდუქციის საზღვარგარეთიდან საქართველოში იმპორტი და მათი საბითუმო რეალიზაცია.

სასაწყობო ინფრასტრუქტურის გამოყენებით ხორციელდება პროდუქციის შენახვა, ხოლო შემდგომ მათი დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებზე და სხვა კორპორატიულ კლიენტებზე სადისტრიბუციო მანქანების მეშვეობით.

1.2 ზოგადი ინფორმაცია „შვილობილი კომპანიის“ შესახებ

შპს კომპიუტერს & პერიფერალს (სომხეთი) რეგისტრირებულია სომხეთში 2011 წლიდან, სარეგისტრაციო ნომრით 286.110.20677, სერთიფიკატი 03 A 1706.77. კომპანიის იურიდიული მისამართია: სომხეთი, ქ. ერევანი, მ.სარიანის ქუჩა N246, ბინა 77.

კომპანიის მფლობელი არის: შპს ევო დისტრიბუშენ (100%).

ზედამხედველი კონტროლის განმახორციელებელი პირია: ლევან ტურაბელიძე.

შვილობილი კომპანიის ძირითადი საქმიანობა დიდწილად იდენტურია მშობელი კომპანიის საქმიანობისა რაც 1.1 პუნქტში არის აღწერილი, იმ ერთი განსხვავებით, რომ შვილობილი კომპანია ოპერირებს სომხეთის ბაზარზე.

1.3 შვილობილის შეძენა და გუდვილი

წილის შესყიდვის ხელშეკრულების თანახმად, 2022 წლის 1 აგვისტოს, შპს ევო დისტრიბუშენმა შეიძინა შპს კომპიუტერს & პერიფერალსის (სომხეთი) 100%-იანი წილი. შესყიდვის შედეგად წარმოიქმნა უარყოფითი გუდვილი 1,069 ათასი ლარის ოდენობით რაც ასახულია შემოსავლად მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ სხვა საოპერაციო შემოსავლებში, იხილეთ შენიშვნა 6.

აღნიშნული გარიგებით მშობელი კომპანია გეგმავს რეგიონალურ გაფართოებას, საბაზრო წილის გაზრდას და მომგებიანობის გაუმჯობესებას.

2. მომზადების საფუძვლები

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ მე-3 შენიშვნაში.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადექვატურობის შეფასებისას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ ჯგუფი მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2.3 ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ჯგუფი ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი და სომხური დრამი.

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ათასებამდე ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ების შესაბამისად, ჯგუფის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მოლოდინებს მომავალთან დაკავშირებით, თუმცა ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის ახლანდელი დაშვებებისგან და მომავალში შესაძლოა შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო რაც არ ექვემდებარება ჯგუფის პირდაპირ კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება დადგომისთანავე.

გაკეთებული მნიშვნელოვანი დაშვებები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

ჯგუფი ანაგარიშგების თარიღისათვის აფასებს ფინანსური აქტივის გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით და დანაკარგის თანხა აისახება მიმდინარე პერიოდის ხარჯებში.

გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებული პოლიტიკა განხილულია 3.7 და 18 შენიშვნებში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფმა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გაითვალისწინა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახდილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც რელევანტურია ჯგუფის ოპერაციებისთვის და გამოსაყენებლად ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის.

ახალ სტანდარტებს არ გამოუწვევია ჯგუფის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.

ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, ჯგუფმა გადაწყვიტა არ გადაეფასებინა წინა წლის შესადარისი რიცხვები.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 აღრიცხვის საფუძვლები

მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომელიც განმარტებულია ქვემოთ მოცემულ პოლიტიკებში. ისტორიული (პირვანდელი) ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას.

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში; ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული (პირვანდელი) ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

3.3 შემოსავლების აღიარება

ყველა შემოსავლის აღიარება ხორციელდება დარიცხვის მეთოდით, იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება ჯგუფში, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

ჯგუფი შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს აანალიზებს შესაბამისი კრიტერიუმებით, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. ჯგუფმა დაადგინა, რომ ძირითადად იგი მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ უმეტეს შეთანხმებაში.

შემოსავლების აღიარება მათის სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება უკან დაბრუნებები და ფასდათმობები.

შემოსავალი აღიარდება მაშინ როდესაც:

- ჯგუფმა მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადავიდა მყიდველზე;
- ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შესაძლებელია შემოსავლის და მასთან დაკავშირებული ხარჯების საიმედოდ შეფასება;

შემოსავალი სხვა საოპერაციო აქტივობებიდან

რეტრო ბონუსები (ვალის გაქვითვა)

შემოსავალი რეტრო ბონუსებიდან (ვალის გაქვითვა) განისაზღვრება მომწოდებლებთან შესაბამის ხელშეკრულებებში განსაზღვრული პროდუქციის მიზნობრივი სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრული პროცენტის უკან დაბრუნების, ვალის გაქვითვის სახით. შემოსავლად აღიარდება მას შემდეგ რაც მოხდება მხარეთა შორის გეგმად დასახული სარეალიზაციო პროდუქციის ღირებულების ოდენობის დადასტურება ფაქტობრივად რეალიზებული პროდუქციის ღირებულების მიხედვით.

სხვა

სხვადასხვა სახის შემოსავალი/მომსახურება რომელიც ჯგუფმა გასწია, დეტალურად არის მოცემული მე-6 შენიშვნაში.

3.4 იჯარა

ჯგუფის იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯებად შესაბამისი წლის მოგება-ზარალში, ვინაიდან, ჯგუფის საიჯარო კონტრაქტებით განსაზღვრული პირობები არ ემთხვევა ფასს 16-ით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და არ საჭიროებს იჯარის კაპიტალიზაციას.

3.5 ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს მათი შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას და დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად განთავსებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულებით) დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული დანახარჯები აღიარდება ძირითად საშუალებად და აღირიცხება ცალკე. იჯარაზე კაპიტალიზირებული ხარჯები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადასა და შესაბამის საიჯარო ხელშეკრულების ვადას შორის უმცირესის მიხედვით.

ცვეთა

ფასს-ის მიზნებისთვის, ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი მზად არის გამოყენებისთვის და ერიცხება ნარჩენი ღირებულების და ცვეთის განაკვეთის შესაბამისად.

ცვეთის დარიცხვის საპროცენტო განაკვეთები შემდეგია:

ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20%

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

3.6 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების, საბაჟოს, და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა „საშუალო შეწონილი“ ღირებულების პრინციპს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგი აისახება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების აღსარიცხად ითვალისწინებს ფასს 9-ის მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხორციელდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც აგრეთვე ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების დაფარვიდან შეფასების თარიღისთვის ბაზრის დამოუკიდებელ მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად მიჩნეულია, რომ ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულება დიდწილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების და არ საჭიროებს დისკონტირებას ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ნიშნების არსებობას. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული თანხების ხანდაზმულობებში, ეკონომიკურ პირობებში რომლებიც ურთიერთქმედებაშია ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, და ა.შ.

ფასს 9 არაფინანსურ ინსტიტუტებს უფლებას აძლევს, რომ სავაჭრო და იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანებისთვის გამარტივებული მეთოდი გამოიყენონ. ასეთ შემთხვევაში, საჭირო აღარაა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა და ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის ზრდაზე დაკვირვება. ამის ნაცვლად, საწარმომ უნდა შეაფასოს აქტივის მთელი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჯგუფმა თავისი მოკლევადიანი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებისთვის გამარტივებული მიდგომა აირჩია.

აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საშუალებით, ხოლო ზარალის თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

მისაღები დებიტორები მათთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, უზრუნველყოფის ყველა საგანი რეალიზებული ან გადაცემულია ჯგუფისთვის. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ ჩამოწერების ამოღება მომავალში მოხერხდა, იგი აისახება მოგება-ზარალში ფინანსური საქმიანობის ნაწილში.

3.8 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის ჯგუფი აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ჯგუფი განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და/ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების დონეზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი

ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.9 კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია ჯგუფში შემავალი კომპანიების წესდებებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება კომპანიების დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა და აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს.

4. შემოსავალი რეალიზაციიდან

<i>(ათასობით ლარში_ '000 GEL)</i>	2022	2021
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	52,976	33,088
შემოსავალი საზღვარგარეთ რეალიზაციიდან	21,661	556
	74,637	33,644

5. რეალიზაციის თვითღირებულება

<i>(ათასობით ლარში_ '000 GEL)</i>	2022	2021
ადგილობრივი რეალიზაციის თვითღირებულება	48,378	28,046
საზღვარგარეთ რეალიზაციის თვითღირებულება	20,763	471
	69,141	28,517

6. სხვა საოპერაციო შემოსავლები

<i>(ათასობით ლარში_ '000 GEL)</i>	2022	2021
შემოსავალი შესყიდვის გარიგებიდან*	1,069	-
შემოსავალი რეტრო ბონუსებიდან**	278	452
სხვადასხვა შემოსავალი	8	36
	1,355	488

*შემოსავალი შესყიდვის გარიგებიდან უკავშირდება შვილობილის შეძენას და მასთან დაკავშირებულ უარყოფით გუდვილს, იხილეთ შენიშვნა 1.3

**მომწოდებლებისგან დარიცხული რეტრო ბონუსები, ძირითადად შემთხვევებში იქვეთება კრედიტორული დავალიანების ნაშთებიდან. დამატებითი ინფორმაცია რეტრო ბონუსებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ მოცემულია შენიშვნა 3.3-ში.

7. გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	2022	2021
გაყიდვების შემდგომ კლიენტებზე გაცემული ფასდათმობები**	427	449
აიტი მომსახურების ხარჯები (კლიენტების მხარდაჭერა)	135	468
საგარანტიო მომსახურების ხარჯები	132	99
მარკეტინგული ხარჯები	70	71
მარაგების და ტრანსპორტის დაზღვევა	18	9
შენახვის ხარჯები	18	-
სატრანსპორტო ხარჯები	11	8
სხვადასხვა ხარჯი	74	16
	885	1,120

**გაყიდვების შემდგომ კლიენტებზე გაცემული ფასდათმობები, ძირითადად შემთხვევებში იქვეთება დებიტორული დავალიანების ნაშთებიდან.

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	2022	2021
შრომის ანაზღაურება	2,163	1,654
სხვა საგადასახადო ხარჯები	223	18
მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯები	209	38
საიჯარო ქირა	84	78
კომუნიკაციის, კომუნალური და საოფისე ხარჯები	61	30
პროფესიული მომსახურებები	50	3
ცვეთა და ამორტიზაცია	33	26
აიტი მომსახურებები (შიდა მხარდაჭერა)	32	33
ბანკის საკომისიო	30	14
საპენსიო ანარიცხები	26	27
სხვადასხვა ხარჯი	20	2
	2,931	1,923

9. საექვო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი

2022 და 2021 წლებში ანარიცხებისა და რეზერვების მოძრაობის ანალიზი შემდეგია:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	2022	2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:		
საწყისი ნაშთი	4	-
დამატებითი დანარიცხები	29	4
შებრუნება	-	-
საბოლოო ნაშთი	33	4

ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ მოცემულია შენიშვნა 18-ში.

10. ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	2022	2021
საპროცენტო შემოსავალი სარგებლიანი საბანკო ანგარიშებიდან	14	14
საპროცენტო შემოსავალი პარტნიორზე გაცემული სესხიდან	2	22
	16	36

11. ძირითადი საშუალებები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	ოფისის აღჭურვ ილობა	ავეჯი და სხვა ინვენტ არი	სატრან სპორტ ო საშუა ლებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმო წყობა	სულ
ისტორიული ღირებულება					
1 იანვარი 2021	181	32	17	11	241
შესყიდვა	19	-	-	-	19
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	200	32	17	11	260
შესყიდვა	25	3	25	67	120
გასხვისება და ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	225	35	42	78	380
დაგროვილი ცვეთა					
1 იანვარი 2021	93	19	9	6	127
ცვეთის დარიცხვა	18	3	2	1	24
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	111	22	11	7	151
ცვეთის დარიცხვა	19	5	19	1	44
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	130	27	30	8	195
წმინდა საბალანსო ღირებულება					
1 იანვარი 2021	88	13	8	5	114
31 დეკემბერი 2021	89	10	6	4	109
31 დეკემბერი 2022	95	8	12	70	185

ძირითადი საშუალებების სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვეთის მეთოდები და განაკვეთები, მოცემულია შენიშვნა 3.5-ში.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	47,513	3,257
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	4,546	7
სხვა მოთხოვნები	101	-
საექვო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი***	(33)	(4)
	52,127	3,260

*** ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ მოცემულია შენიშვნა 18-ში.

13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	31.12.2022	31.12.2021
ნოუთბუქები	3,914	384
პერიფერიული მოწყობილობები	2,118	46
კომპიუტერები და მონიტორები	498	64
სახარჯი მასალები	216	129
სერვისის ნაწილები	168	168
სერვერები და სერვერის ნაწილები	147	187
მარკეტინგული საქონელი	14	14
დაზიანებული საქონელი	18	18
ხანდაზმული საქონელი	1,105	974
საქონელი გზაში	977	-
სხვადასხვა საქონელი	454	250
	9,629	2,234

14. ფულადი სახსრები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	31.12.2022	31.12.2021
ფული რეზიდენტ ბანკში	1,574	1,731
ფული სალაროში	7	-
	1,581	1,731

ინფორმაცია ფულად სახსრებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის შესახებ მოცემულია შენიშვნა 18-ში.

15. საგადასახადო აქტივი (წმინდა)

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	31.12.2022	31.12.2021
დამატებითი ღირებულების გადასახადი	753	(15)
განაწილებული მოგების გადასახადი	-	83
საშემოსავლო გადასახადი	(15)	20
სხვა გადასახადები	37	-
	775	88

16. კაპიტალი

(i) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ ღირებულებას ჯგუფის სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისად. დამფუძნებლებს შორის წილობრივი გადანაწილება პერიოდების მიხედვით არის შემდეგი:

	31.12.2022	31.12.2021
კაეტანო ჯგუფი (კვიპროსი)	70%	-
ლევან ტურაბელიძე	30%	-
	100%	-

(ii) დამატებით შეტანილი კაპიტალი

დამატებით შეტანილი კაპიტალის ინექცია პირდაპირი ფორმით არ განხორციელებულა.

(iii) გაუნაწილებელი მოგება და დივიდენდები

ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება შეზღუდულია დივიდენდებზე განაწილებისგან იმ ოდენობის ფარგლებში რომელიც ასახულია ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებებში. დივიდენდები გაიცემა პერიოდულობით, გამომუშავებული მოგების გათვალისწინებით და ხორციელდება დარიცხვა მასთან დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით. დამატებითი ინფორმაცია გაუნაწილებელი მოგებისა და დივიდენდების თანხების მოძრაობის შესახებ იხილეთ კაპიტალის ცვლილებების ანგარიშში.

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ათასობით ლარში_ '000 GEL)	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო დავალიანება პროდუქციის მოწოდებიდან	56,921	3,850
მიღებული ავანსები	880	127
სხვა კრედიტორული დავალიანება	67	4
	57,868	3,981

ინფორმაცია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდობის რისკების შესახებ მოცემულია შენიშვნა 18-ში.

18. ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. შესაბამისად, რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მენეჯმენტის საქმიანობაში და არის ჯგუფის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ჯგუფი არ ფლობს ცვალებად-პროცენტიან ფინანსურ ინსტრუმენტებს. ასევე, არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ჯგუფი ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

- (i) საკრედიტო რისკი
- (ii) საბაზრო რისკი
- (iii) ლიკვიდობის რისკი

(i) საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

ჯგუფის მაქსიმალურ რისკდამოკიდებულებას წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	47,614	3,257
ფულადი სახსრები ბანკში	1,574	1,731
	49,188	4,988

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გეოგრაფიული კონცენტრაცია ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს და სომხეთის რეზიდენტ კომპანიებთან. საკრედიტო რისკი იმართება ხანდაზმულობის ანალიზით, გადახდისუნარიანობის შეფასებით ან/და სხვადასხვა სახის ანალიზით. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისტორიული გამოცდილებიდან და ინდუსტრიის პრაქტიკიდან გამომდინარე, 1 წლამდე ვადაგადაცილებული დებიტორები ნორმალური მდგომარეობაა და არ საჭიროებს ანარიცხებს, ხოლო 1 წელზე ან მეტზე ხანდაზმულ დებიტორულ ნაშთებზე ქმნის საექვო ვალების რეზერვს 100%-ის ოდენობით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ხანდაზმულობა პერიოდების ბოლოს იყო შემდეგი:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	31.12.2022		31.12.2021	
	სრული თანხა	გაუფასურ ების რეზერვი	სრული თანხა	გაუფასურ ების რეზერვი
გადაუხდელია 0-365 (დღე)	47,581	-	3,253	-
გადაუხდელია 365> (დღე)	33	(33)	4	(4)
	47,614	(33)	3,257	(4)

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრების ჭარბი ნაშთი განთავსებულია საქართველოს და სომხეთის რეზიდენტ ბანკებში, რომლებსაც დეპონირების თარიღისთვის ჰქონდათ დეფოლტის მინიმალური რისკი. საერთაშორისო ავტორიტეტული სარეიტინგო ორგანიზაციის „Fitch“-ის ბოლო შეფასების მიხედვით აღნიშნულ ბანკებს მიენიჭა B+ (სტაბილური) სტატუსი.

(ii) საბაზრო რისკი

ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო საქმიანობიდან.

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ძირითადი უცხოური ვალუტების კურსის ცვლილება მოქმედებს ჯგუფის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე.

სავალუტო რისკი

ჯგუფის ტრანზაქციების უმეტესობა წარმოებს ეროვნულ ვალუტებში. საკურსო სხვაობები წარმოიქმნება უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის შედეგად, რაც ძირითადად არის აშშ დოლარში და ევროში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები რომლებიც ჯგუფს უქმნიან საკურსო რისკს, განხილულია ქვემოთ. თანხები მოცემულია ექვივალენტ ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსებით.

(ათასობით ლარში_ '000
GEL)

	31.12.2022		31.12.2021	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
ფულადი სახსრები	19	103	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,264	39,405	72	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(16,151)	(40,430)	(3,846)	-
წმინდა პოზიცია	(14,868)	(922)	(3,774)	-

სენსიტიურობის ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში ლარის კურსის შესაძლო ცვლილების გავლენა წმინდა მოგებაზე, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობით:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	31.12.2022		31.12.2021	
	დოლარი	ევრო	დოლარი	ევრო
10%-იანი გაუფასურება	(1,487)	(92)	(377)	-
10%-იანი გამყარება	1,487	92	377	-

(iii) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების მეშვეობით. ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებები ძირითადად სავაჭრო მომწოდებლების მიმართ აქვს. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არსებული მომგებიანობის მაჩვენებელი, ჯგუფს ანიჭებს საკმარის მოქნილობას დაფარვის ვადებთან მიმართებით, რაც მომავალში აუცილებელია ბიზნესში საკმარისი ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს.

გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით.

არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სასესხო ვალდებულებები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	57,868	-	-	57,868
საგადასახადო ვალდებულებები (წმინდა)	-	-	-	-
სულ მომავალი გადახდები	57,867	-	-	57,868

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასობით ლარში_ '000 GEL)

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სასესხო ვალდებულებები	-	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,981	-	-	3,981
საგადასახადო ვალდებულებები (წმინდა)	-	-	-	-
სულ მომავალი გადახდები	3,981	-	-	3,981

19. დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი დირექტორი, დამფუძნებლები, და სხვა დაკავშირებული კომპანიები ბასს 24-ის შესაბამისად. ჯგუფზე ლოკალური კონტროლის განმახორციელებელი პირი არის დირექტორი და თანადამფუძნებელი ბატონი ლევან ტურაბელიძე.

ტრანზაქციები და საბალანსო ნაშთები ძირითად ხელმძღვანელობასთან

წლის განმავლობაში, გადაწყვეტილების მიმღებ ძირითად ხელმძღვანელობასთან განხორციელებული ტრანზაქციები იყო შემდეგი:

<i>(ათასობით ლარში_ '000 GEL)</i>	2022	2021
გაცემული ანაზღაურება	(197)	(17)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	2	22
	(195)	5

წლის ბოლოს, გადაწყვეტილების მიმღებ ძირითად ხელმძღვანელობასთან საბალანსო ნაშთები იყო შემდეგი:

<i>(ათასობით ლარში_ '000 GEL)</i>	31.12.2022	31.12.2021
გაცემული სესხები	-	156
	-	156

ტრანზაქციები და საბალანსო ნაშთები დაკავშირებულ კომპანიებთან

წლის განმავლობაში, დაკავშირებულ კომპანიებზე გაყიდული საქონლის ღირებულება იყო შემდეგი:

<i>(ათასობით ლარში_ '000 GEL)</i>	2022	2021
სხვა დაკავშირებული მხარე	205	36
	205	36

წლის განმავლობაში, დაკავშირებული კომპანიებიდან შესყიდული საქონლის ღირებულება იყო შემდეგი:

<i>(ათასობით ლარში_ '000 GEL)</i>	2022	2021
მშობელი კომპანია	41,130	25,773
სხვა დაკავშირებული მხარე	234	294
	41,364	26,067

წლის ბოლოს, დაკავშირებულ კომპანიებზე არსებული საბალანსო ნაშთები იყო შემდეგი:

<i>(ათასობით ლარში_ '000 GEL)</i>	31.12.2022	31.12.2021
კრედიტორული დავალიანება მშობელი კომპანიის მიმართ	11,619	3,846
დებიტორული დავალიანება სხვა დაკავშირებული მხარის მიმართ	176	36

შპს ევო დისტრიბუშენ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს ევო დისტრიბუშენ
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	1
შესავალი.....	2
ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ.....	3-4
გასული 2022 წლის შეჯამება.....	4
დივერსიფიკაცია და ზრდა.....	4-5
ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა და ანალიზი.....	5-7
რისკების ანალიზი.....	7
2023 წლის მოლოდინები.....	7



FINANCIAL OFFICE
ACCOUNTING & ADVISORY

A member of



Independent legal & accounting firms

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ევო დისტრიბუშენის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს ევო დისტრიბუშენის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშების აუდიტი, რომელიც მოიცავს ჯგუფის 2022 წლის შედეგების მიმოხილვას, ინდუსტრიაში არსებულ გამოწვევებს და ჯგუფის სამომავლო განვითარების გეგმებს.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ასევე 2022 წლის აუდიტებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებას.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ნინო სამხარაძე.

ნინო სამხარაძე (რეგ. № SARAS-A-425114)

შპს „ფინანსური ოფისის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-802337)

23 აგვისტო 2023 წ.



FINANCIAL OFFICE
ACCOUNTING & ADVISORY

A member of



Independent legal & accounting firms

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ევო დისტრიბუშენის მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს ევო დისტრიბუშენის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშების აუდიტი, რომელიც მოიცავს ჯგუფის 2022 წლის შედეგების მიმოხილვას, ინდუსტრიაში არსებულ გამოწვევებს და ჯგუფის სამომავლო განვითარების გეგმებს.

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ასევე 2022 წლის აუდირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

მოცემული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის შესაბამისი აუდიტის პარტნიორი არის ნინო სამხარაძე.

ნინო სამხარაძე (რეგ. № SARAS-A-425114)

შპს „ფინანსური ოფისის“ სახელით (რეგ. № SARAS-F-802337)

23 აგვისტო 2023 წ.

შესავალი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, შპს „ევო დისტრიბუშენ“ (ს/კ: 205256373), როგორც მეორე ზომითი კატეგორიის სუბიექტი, უკვე წარადგენს აუდიტებულ „კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას“ და „კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგებას“. აღნიშნულის მიზანია საჯარო გამჭვირვალობა და ანგარიშგება ჯგუფის საქმიანობის და წლიური შედეგების მიმოხილვის შესახებ.

ღიაობის უზრუნველსაყოფად, ჯგუფის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მიღწევები და მნიშვნელოვანი ფაქტები, პერიოდულად ქვეყნდება საჯაროდ ჩვენს ვებ-გვერდებზე: www.evodistri.ge და www.cp.am

აქვეა ასახული ყველა ის ძირითადი ინფორმაცია რაც უკავშირდება ჩვენს მაჟორიტარ დამფუძნებელ ჯგუფს, მის ისტორიას, ბრენდ პორტფოლიოს, და ასე შემდეგ. ისინი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ასევე, გარდა ფინანსური გამჭვირვალობისა, ჯგუფის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე მოიცავს გარემოს დაცვით ღონისძიებებსაც, რასაც ჯგუფი დიდ ყურადღებას უთმობს. აღნიშნულისთვის ვითვალისწინებთ ESG (Environmental, social, and governance)-ის საყოველთაოდ მიღებულ საერთაშორისო პრაქტიკებს, „ნარჩენების მართვის კოდექსს“ და „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების სახელმძღვანელოს“.

ამასთან დაკავშირებით, ჯგუფი ასრულებს ელექტრულ მოწყობილობებთან დაკავშირებულ რეციკლირების პროცესებს და ასევე იხდის რეციკლირების გადასახადს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ავტორიზებულ ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების ასოციაციაში“.

ზოგადად, შეჯამების სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯგუფის ბიზნეს მოდელის, მისი სტრუქტურის და საოპერაციო საჭიროებებიდან გამომდინარე, მისი ბიზნეს პროცესები და მენეჯმენტის სტილი მიმართულია მაქსიმალური გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისკენ, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყველა ადგილობრივი და საერთაშორისო პარტნიორის მოთხოვნები.

ზოგადი ინფორმაცია ჯგუფის შესახებ

მშობელი კომპანია

ევო დისტრიბუშენ (ს/კ: 205256373) დაფუძნებულია საქართველოში 2008 წელს. მინიჭებული აქვს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიას, როგორც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ კერძო სამართლის სუბიექტს, მართავს კომპანიის დირექტორი (ლევან ტურაბელიძე). მისი პასუხისმგებლობა კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა. დირექტორი პასუხისმგებელია დამფუძნებლების წინაშე.

კომპანიის მფლობელები არიან:

- კაეტანო ჯგუფი (კვიპროსი) – 70%
- ლევან ტურაბელიძე – 30%

ორგანიზაციის მისამარი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია არის შემდეგი:

0141, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გურამიშვილის გამზ. 64

ტელ: +995 32 260 29 90 , +995 32 260 29 59. მეილ: sales@evodistri.ge

შვილობილი კომპანია

შვილობილი კომპანია ევო დისტრიბუშენმა შეიძინა 2022 წლის 1 აგვისტოს, კერძოდ:

კომპიუტერს & პერიფერალს (სომხეთი) (რეგისტრაციის ნომერი 286.110.20677, სერთიფიკატი 03 A 1706.77) დაფუძნებულია სომხეთში 2011 წელს. მინიჭებული აქვს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). ზედამხედველი კონტროლის განმახორციელებელი პირია: ლევან ტურაბელიძე.

კომპანიის მფლობელი არის:

- შპს ევო დისტრიბუშენ – 100%

ორგანიზაციის მისამარი და სხვა საკონტაქტო ინფორმაცია არის შემდეგი:

0033, ერევანი, იერზნკიანის 57.

ტელ: +374 91 456323, +374 91 400890. მეილ: sales@cp.am

ჯგუფის საქმიანობის სფერო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს სხვადასხვა აიტი პროდუქციის საზღვარგარეთიდან იმპორტი და მათი საბითუმო რეალიზაცია ეგრედ წოდებული B2B (Business to Business) მოდელით.

პროდუქციის ზოგადი კატეგორიებია: ნოუთბუქები, პერიფერიული მოწყობილობები, კომპიუტერები და მონიტორები, სერვისის ნაწილები, სერვერები და სერვერის ნაწილები, და ასე შემდეგ.

ჯგუფი თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო ბრენდებთან როგორებიცაა:

HP Inc, Hewlett Packard Enterprises, Aruba by HPE, Huawei, SuperMicro, Dell, MicroFocus, Canon, Kyocera, Asus, BenQ, AEG, Bitdefender, Planet, Open-e, Infortrend.

ჯგუფი ქირაობს როგორც საოფისე ფართს, ისე სასაწყობე ფართს. სასაწყობე ინფრასტრუქტურის გამოყენებით ხორციელდება პროდუქციის შენახვა, ხოლო შემდგომ მათი დისტრიბუცია სავაჭრო ობიექტებზე და სხვა კორპორატიულ კლიენტებზე სადისტრიბუციო მანქანების მეშვეობით.

გაყიდვების სტიმულირებისთვის ჯგუფი ეწევა გარკვეულ მარკეტინგულ აქტივობებს, თუმცა ძირითად ფუნქციას ამ მიმართულებით ასრულებს „გაყიდვების განყოფილება“ საიდანაც გაყიდვების მენეჯერები პირდაპირ კონტაქტზე არიან არსებულ და პოტენციურ მომხმარებლებთან.

ჯგუფი თავის მომხმარებლებს სთავაზობს პროდუქციასთან დაკავშირებულ საჭირო სამონტაჟო და აიტი მხარდაჭერას, ისევე როგორც გაყიდვების შემდგომ საგარანტიო მომსახურებებს.

გასული 2022 წლის შეჯამება

ჯგუფმა 2022 წლის მანძილზე განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები ბიზნესის განვითარების მიმართულებით. დააამყარა ახალი ადგილობრივი და საერთაშორისო კავშირები, გააფართოა პროდუქციის ასორტიმენტი, რაც საფუძვლად დაედო ახალ გარიგებებს.

აღნიშნულის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ადგილობრივი, ისე საზღვარგარეთ გაყიდვები. ეს შესაბამისობაშია დაგეგმილ ბიუჯეტთან და ასევე თანხვედრაშია ჩვენს გრძელვადიან გეგმებთან რათა კიდევ უფრო გაიზარდოს რეგიონის მაშტაბით სავაჭრო ობიექტების თუ სხვა კორპორატიული კლიენტების დაფარვა.

რაც შეეხება გაყიდვების გარდა დარჩენილ სხვა ფინანსურ ნაწილს, ზოგადად, გაჯანსაღდა ბალანსის სტრუქტურა, ჩაიხურა პარტნიორზე გაცემული სესხი, გაუმჯობესდა საოპერაციო ციკლი რაც უკავშირდება მარაგების, დებიტორების, კრედიტორების, და ქეშფლოუს უკეთეს მართვას.

დამატებითი დეტალური ინფორმაცია ფინანსური ანალიზის შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ შესაბამის თავებში.

დივერსიფიკაცია და ზრდა

ჯგუფი თავისი სტრატეგიის ფარგლებში მუდმივად ცდილობს პროდუქციის დივერსიფიცირებას, ისევე როგორც კლიენტთა ბაზის დივერსიფიკაციას, რათა არ იყოს დამოკიდებული ერთ ან რამოდენიმე წყაროზე.

მოთხოვნის ზრდამ კიდევ უფრო მკვეთრად გამოავლინა ჯგუფის მენეჯმენტის შეხედულება საქონლისა და მომსახურების მიწოდების ზრდის აუცილებლობასთან დაკავშირებით. მუდმივად მიმდინარეობს რეგიონის მაშტაბით ბაზრის მოთხოვნის კვლევა რათა მოხდეს შესაბამისი პროდუქციის ალოკაცია კომპანიის პორტფელში.

ჯგუფი ცდილობს პროდუქციის გაზრდილი ასორტიმენტი მოარგოს ქართველ და სომეხ მომხმარებლებს, გაზარდოს დაფარვის არეალი საქართველო-სომხეთის მაშტაბით და უზრუნველყოს პროდუქციის ხელმისაწვდომობა სავაჭრო ობიექტების კატეგორიების მიხედვით ყველა ძირითად ქალაქსა და რეგიონში.

ჯგუფი გეგმავს დააბალანსოს საკუთარი პორტფელის სასაქონლო ჯგუფები რისკების მინიმიზაციის მიზნით, მათ შორის გაზარდოს პროდუქციის რაოდენობა და ასორტიმენტი. ასევე დაგეგმილია ახალი პროდუქტების დამატება პორტფელში, რომლებიც განკუთვნილი იქნება კვლავინდებურად ყველა სეგმენტისთვის, დაბალი, საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე პირებისათვის.

ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა და ანალიზი

ჯგუფის საქმიანობის ბოლო ორი წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

	შენიშვნა	2022	2021	
შემოსავალი რეალიზაციიდან	4	74,637	33,644	122%
რეალიზაციის თვითღირებულება	5	(69,141)	(28,517)	142%
საერთო მოგება		5,496	5,127	7%
სხვა საოპერაციო შემოსავლები	6	1,355	488	178%
გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	7	(885)	(1,120)	-21%
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,931)	(1,923)	52%
დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვ	9,12,18	(29)	(4)	625%
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		3,006	2,568	17%
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	10	16	36	-56%
კურსთა შორისი წმინდა მოგება(ზარალი)		1,066	376	184%
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		4,088	2,980	37%
მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი)		-	-	
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		4,088	2,980	37%

როგორც ცხრილიდან ჩანს, საანგარიშგებო პერიოდის რეალიზაცია 2021 წელთან შედარებით გაზრდილია 122%-ით, ხოლო წმინდა მოგება 37%-ით. აღნიშნულის ძირითადი მიზეზები შემდეგია:

- ადგილობრივი რეალიზაცია გაზრდილია 60%-ით, ხოლო საზღვარგარეთ გაზრდილია 3,796%-ით. ზრდა გამოწვეულია ძირითადად რაოდენობის ბრუნვის ზრდით, ასევე გარკვეულწილად ფასების ცვლილებით;
- საერთო მოგება გაზრდილია 7%-ით რომელიც უკავშირდება გაყიდვების რაოდენობის ზრდას
- სხვა საოპერაციო შემოსავლები გაზრდილია 178%-ით რაც გამოწვეულია შვილობილის შეძენის შედეგად წარმოქმნილი უარყოფითი გუდვილით;
- გაყიდვების და მიწოდების ხარჯები შემცირებულია 21%-ით რაც დაკავშირებულია წინა წლის ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვასთან, კერძოდ აიტი მომსახურების ხარჯებთან;

- საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები გაზრდილია 52%-ით რაც უკავშირდება შრომის ანაზღაურების, საგადასახადო ხარჯების და მივლინების და წარმომადგენლობითი ხარჯების ზრდას;

ანალიტიკური მაჩვენებლები

საქმიანობის შედეგებზე დამატებით წარმოდგენას იძლევა შემდეგი ანალიტიკური მაჩვენებლები:

ა) **მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი** (Current ratio) - მიმდინარე აქტივებით მიმდინარე ვალდებულებების დაფარვის უნარი, მიმდინარე აქტივების მიმდინარე ვალდებულებებთან შეფარდება. ეს მაჩვენებელი 2022 წლის ბოლოსთვის უდრის 1.11 (კარგი მაჩვენებელია თუ აღემატება 1.5);

ბ) **სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი** (Quick ratio) – მიმდინარე ვალდებულებების კონვერტირებადი აქტივებით დაფარვის შესაძლებლობა შემოსავლების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმდინარე აქტივებისა და მარაგების სხვაობის თანაფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან. 2022 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 0.94 (კარგი მაჩვენებელია თუ აღემატება 1.0);

გ) **აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი** (Absolute liquidity ratio) მოკლევადიანი ვალდებულებების დაუყოვნებლივ დაფარვის შესაძლებლობა ანგარიშსწორების ანგარიშზე და ბანკებში სხვა ანგარიშზე ფულადი სახსრების ხარჯზე. 2022 წლის ბოლოს შეადგენდა 0.03 (კარგი მაჩვენებელია თუ აღემატება 0.2);

დ) **კაპიტალიზაციის კოეფიციენტი** (Capitalization ratio) 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 0 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი ნაკლებია 0.7);

ე) **უკუგება აქტივებზე** (Return on assets. ROA) მიუთითებს ფინანსურ უკუგებაზე გამოყენებული აქტივებიდან. 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 0.06 (კარგი მაჩვენებელია თუ აღემატება 0.11);

ვ) **კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი** (Return on equity ROE) ასახავს რამდენად ეფექტიანად გამოიყენება დაბანდებული სახსრები. 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 0.63 (კარგი მაჩვენებელია თუ აღემატება 0.11)

ზ) **უკუგება გაყიდვებზე - რენტაბელობა** (Return on sales ROS) ასახავს გაყიდვების მომგებიანობას, 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 0.05 (კარგი მაჩვენებელია თუ აღემატება 0.15)

თ) **დებიტორული დავალიანების ბრუნვაადობის კოეფიციენტი** (Accounts receivable turnover ratio) უჩვენებს რამდენჯერ იფარება დებიტორული დავალიანება წლის განმავლობაში. 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 1.43 (კარგი მაჩვენებელია თუ აღემატება 2.0)

ი) კრედიტორული დავალიანების ბრუნვაობის კოეფიციენტი (Accounts payable turnover ratio) უჩვენებს რამდენჯერ იფარება კრედიტორული დავალიანება წლის განმავლობაში. 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 1.19 (კარგი მაჩვენებელია თუ აღემატება 3.0)

აღნიშნული მონაცემების მიხედვით, 2022 წელს ჯგუფს აქვს ჩამორჩენა გარკვეულ მიმართულებებში, თუმცა მთლიანობაში გამოირჩეოდა დადებითი მაჩვენებლებითა და ფინანსური შედეგებით.

რისკების ანალიზი

სტრატეგიული გეგმის და საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისას ყოველთვის არსებობს შიდა და გარე რისკები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია. გამოვყოფთ შემდეგ რისკებს:

სავალუტო რისკი - ჯგუფისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სტაბილური გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტებთან, კერძოდ აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში. იქედან გამომდინარე, რომ პორტფელში არსებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი არის იმპორტირებული, სავალუტო რყევები გავლენას ახდენს თვითღირებულებაზე, რაც გაძვირების შემთხვევაში უარყოფითად აისახება საბოლოო მომხმარებელზე და შესაბამისად, რა თქმა უნდა ჯგუფის რეალიზაციაზე.

ლიკვიდობის რისკი - ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია ფულადი ნაკადების პოზიციის კონტროლი, რაც ყოველდღიურად ხორციელდება. ჯგუფი იყენებს შიდა რესურსებს რათა იყოს მაქსიმალურად მოქნილი ბაზრის ცვალებადობასთან მიმართებაში. ასევე მოქნილ საგადასახდელ პირობებს ძირითად მომწოდებლებთან, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ხელს უწყობს ჯგუფის ლიკვიდურობის შენარჩუნებას.

ამგვარად, ჯგუფს გააჩნია მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა, რაც მომავალში ჯგუფის განვითარებას შეუწყობს ხელს.

2023 წლის მოლოდინები

2023 წლისთვის ჯგუფი ელოდება საბაზრო პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებას, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიური მაჩვენებლების კიდევ უფრო გაზრდას, ასევე მეტი შრომითი კონტიგენტის დასაქმებას და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

ლევან ტურაბელიძე

დირექტორი

23 აგვისტო 2023 წ.

ი) კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი (Accounts payable turnover ratio) უჩვენებს რამდენჯერ იფარება კრედიტორული დავალიანება წლის განმავლობაში. 2022 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 1.19 (კარგი მაჩვენებელია თუ აღემატება 3.0)

აღნიშნული მონაცემების მიხედვით, 2022 წელს ჯგუფს აქვს ჩამორჩენა გარკვეულ მიმართულებებში, თუმცა მთლიანობაში გამოირჩეოდა დადებითი მაჩვენებლებითა და ფინანსური შედეგებით.

რისკების ანალიზი

სტრატეგიული გეგმის და საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისას ყოველთვის არსებობს შიდა და გარე რისკები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია. გამოვყოფთ შემდეგ რისკებს:

სავალუტო რისკი - ჯგუფისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სტაბილური გაცვლითი კურსი უცხოურ ვალუტებთან, კერძოდ აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში. იქედან გამომდინარე, რომ პორტფელში არსებული პროდუქციის ძირითადი ნაწილი არის იმპორტირებული, სავალუტო რყევები გავლენას ახდენს თვითღირებულებაზე, რაც გაძვირების შემთხვევაში უარყოფითად აისახება საბოლოო მომხმარებელზე და შესაბამისად, რა თქმა უნდა ჯგუფის რეალიზაციაზე.

ლიკვიდობის რისკი - ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია ფულადი ნაკადების პოზიციის კონტროლი, რაც ყოველდღიურად ხორციელდება. ჯგუფი იყენებს შიდა რესურსებს რათა იყოს მაქსიმალურად მოქნილი ბაზრის ცვალებადობასთან მიმართებაში. ასევე მოქნილ საგადასახდელ პირობებს ძირითად მომწოდებლებთან, რაც თავის მხრივ კიდევ უფრო ხელს უწყობს ჯგუფის ლიკვიდურობის შენარჩუნებას.

ამგვარად, ჯგუფს გააჩნია მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა, რაც მომავალში ჯგუფის განვითარებას შეუწყობს ხელს.

2023 წლის მოლოდინები

2023 წლისთვის ჯგუფი ელოდება საბაზრო პოზიციების კიდევ უფრო განმტკიცებას, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიური მაჩვენებლების კიდევ უფრო გაზრდას, ასევე მეტი შრომითი კონტიგენტის დასაქმებას და მათი სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

ლევან ტურაბელიძე
დირექტორი



23 აგვისტო 2023 წ.